დიაბეტი (ტიპი II)

მეტფორმინი 1000მგ; გლიმეპირიდი 2მგ; გლიკლაზიდი 60მგ; გლიკლაზიდი 60მგ;

ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები

თიამაზოლი 5მგ; ლევოთიროქსინი 50მკგ

ფილტვის დაავადებები

ბუდესონიდი 0.5მგ/2მლ; სალმეტეროლი/ფლუტიკაზონი 50მკგ/250მკგ საინჰალაციო ფხვნილი; სალმეტეროლი/ფლუტიკაზონი 50მკგ/500მკგ საინჰალაციო ფხვნილი; სალბუტამოლი 100მკგ დოზა საინჰალაციო აეროზოლი; მეთილპრედნიზოლონი 16მგ; აკლიდინიუმის ბრომიდი საინჰალაციო ფხვნილი (კაფსულა) ინჰალატორთან ერთად/322მკგ/დოზა;

პარკინსონის დაავადება

ლევოდოპა, კარბიდოპა 250მგ/25მგ; ლევოდოპა, ბენსერაზიდის ჰიდროქლორიდი 100მგ/25მგ

ეპილეფსია

ლევეტირაცეტამი 500მგ; კარბამაზეპინი 200მგ; ნატრიუმის ვალპროატი 300მგ; ნატრიუმის ვალპროატი 500მგ; ლამოტრიჯინი 100მგ; ლამოტრიჯინი 25მგ

გახსოვდეთ: მედიკამენტის შეძენის მომენტში, მიუხედავად იმისა, თუ რომელი სავაჭრო დასახელება იქნება წარმოდგენილი აფთიაქში, თქვენ მიიღებთ ექიმის მიერ დანიშნული გენერიული (ძირითადი) ნივთიერების შესაბამის მედიკამენტს. აღნიშნული მედიკამენტის სამკურნალო მოქმედება ისეთივეა, როგორიც სხვა სავაჭრო დასახელების მქონე მედიკამენტების.

პროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტების ხარისხი

ჯანდაცვის სამინისტროს პრიორიტეტია, მოქალაქეებმა მიიღონ ხარისხიანი და უსაფრთხო მედიკამენტები. პროგრამაში არსებულ პროდუქტებს ხარისხის კონტროლი გავლილი აქვს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პრეკვალიფიცირებულ ლაბორატორიებში, რაც დადასტურებულია შესაბამისი სერთიფიკატით.

რეგისტრაციის შემდეგ, სახელმწიფოს თანადაფინანსებით მედიკამენტების შეძენა შეგიძლიათ პროგრამაში ჩართული სააფთიაქო ქსელების კონკრეტულ აფთიაქებში

თუ გსურთ წინასწარ შეიტყოთ ინფორმაცია, კონკრეტულ აფთიაქში თქვენთვის საჭირო მედიკამენტის მარაგის შესახებ, ასევე, თქვენთვის სასურველი აფთიაქი არის თუ არა პროგრამის მიმწოდებელი, ამისათვის შეგიძლიათ დარეკოთ სამინისტროს ცხელ ხაზზე 1505, ან სააფთიაქო ქსელების ცხელ ხაზზე.

1. სააფთიაქო ქსელი „PSP“ – 2 40-20-20
2. სააფთიაქო ქსელი „ავერსი“ – 2 900-800
3. სააფთიაქო ქსელი „გეფა“ („ჯპს“; „ფარმადეპო“) – ჯპს 2-71-07-07; ფარმადეპო 2-400-004
4. სააფთიაქო ქსელი „სახალხო აფთიაქი“ – 2-48-59-59

აფთიაქების ჩამონათვალი, ასევე განთავსებულია
ჯანდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე
www.moh.gov.ge

ჩაერთე პროგრამაში – დახარჯე ნაკლები მედიკამენტებზე

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

სოციალური მომსახურების სააგენტო

15 05

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

სოციალური მომსახურების სააგენტო

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა

საქართველოს მოსახლეობისთვის ჯერ კიდევ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მედიკამენტების შესაძენად გადახდილი თანხები. ყველაზე მეტად, ფინანსური სიძნელის წინაშე ქრონიკული დაავადებების მქონე მოქალაქეები დგანან, რამდენადაც მათ მუდმივად უწევთ საჭირო მედიკამენტების შეძენა.

აღნიშნული მდგომარეობის დასაძლევად, 2017 წლის 1 ივლისიდან საქართველოს მთავრობამ აამოქმედა ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ყველაზე გავრცელებული ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების მნიშვნელოვან დაფინანსებას სახელმწიფოს მიერ.

პროგრამით ფინანსდება 6 წამყვანი ქრონიკული დაავადების სამკურნალო ყველაზე მოხმარებადი 35 დასახელების მედიკამენტი.

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის მიზანია გაიზარდოს მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა და მოსახლეობამ იზრუნოს საკუთარ ჯანმრთელობაზე ფინანსური ბარიერების გარეშე.

პროგრამას ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.

რომელ დაავადებებს ითვალისწინებს პროგრამა?

პროგრამა ითვალისწინებს ყველაზე გავრცელებული ქრონიკულ დაავადებებს:

- გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებები;
- შაქრიანი დიაბეტი (ტიპი II);
- ფილტვის ქრონიკული დაავადებები (მათ შორის ასთმა);
- ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები;
- ეპილეფსია;
- პარკინსონის დაავადება.

ვინ არის პროგრამის მოსარგებლე და რა რაოდენობის დაფინანსება ვრცელდება მათზე პროგრამის ფარგლებში?

- სოციალურად დაუცველი პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, მედიკამენტს იძენენ სიმბოლურ ფასად – 1 ლარად;
- მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა საპენსიო ასაკი;
- მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული სტატუსის მქონე პირები, შშმ ბავშვები;
- პარკინსონით დაავადებული ნებისმიერი მოქალაქე;
- ეპილეფსიით დაავადებული ნებისმიერი მოქალაქე.

} 50%-ით და მეტი ოდენობით დაფინანსება სახელმწიფოს მიერ

როგორ ვისარგებლო პროგრამით?

ჯანდაცვის სამინისტროს ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობისთვის, საჭიროა:

1. მიმართოთ ოჯახის ექიმს ან ექიმ-სპეციალისტს, რომელიც გადმოგცემთ ცნობას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV-100/ა) და რეცეპტს (ფორმა №3), სადაც მითითებული იქნება თქვენთვის საჭირო მედიკამენტების გენერიული დასახელება.

   ბენეფიციარებისთვის ექიმთან ვიზიტი ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით.

2. ექიმის მიერ გადმოცემული ფორმა №100 წარმოადგინეთ სოციალური მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულში და ერთჯერადად გაიარეთ რეგისტრაცია.

   გახსოვდეთ: პროგრამით მუდმივი სარგებლობისთვის საჭიროა მხოლოდ ერთხელ დარეგისტრირდეთ სოციალური მომსახურების სააგენტოში. თუ ექიმი შეგიცვლით დიაგნოზს, მედიკამენტს ან დოზას, მხოლოდ ამ შემთხვევაში საჭიროა განახლებული ფორმა №100 წარმოადგინოთ სოციალური მომსახურების სააგენტოში.

3. მიმართეთ პროგრამის მიმწოდებელ ნებისმიერ აფთიაქს, სადაც უკვე მნიშვნელოვნად შეღავათიან ფასად მიიღებთ ექიმის მიერ გამოწერილ მედიკამენტებს. თან იქონიეთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და რეცეპტი.

ერთ ჯერზე შეგიძლიათ აფთიაქში შეიძინოთ 3 თვის სამყოფი მედიკამენტი.

ამ დრომდე პირველადი მოხმარების მედიკამენტების დაფინანსებისთვის, მოქალაქეები მიმართავდნენ მერიას და გამგეობას. აღნიშნულ უწყებებში არსებული სერვისები და მათი სარგებლობის წესი რჩება უცვლელი.

რომელ მედიკამენტებს აფინანსებს სახელმწიფო პროგრამა?

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ქრონიკული დაავადებების სამკურნალო ყველაზე ხშირად მოხმარებადი მედიკამენტები. პროგრამაში მოქალაქის რეგისტრაციის დროს ფიქსირდება ექიმის მიერ გამოწერილი მედიკამენტების გენერიული (საერთაშორისო) დასახელებები, რომლებიც აფთიაქში სხვადასხვა პერიოდში წარმოდგენილია სხვადასხვა სავაჭრო დასახელებებით.

მედიკამენტების საერთაშორისო დასახელებების ჩამონათვალი:

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები

ენალაპრილი 10მგ; ენალაპრილი 20მგ; ლოსარტანი 100მგ; ლოსარტან/ჰიდროქლორთიაზიდი 50/12.5მგ; პერინდოპრილ /ამლოდიპინი 4მგ/5მგ; პერინდოპრილ/ამლოდიპინი 8მგ/10მგ; პერინდოპრილ/ინდაპამიდი 4მგ/1.25მგ; მეტოპროლოლი 100მგ; ნებივოლოლი 5მგ; ბისოპროლოლი 5მგ; ამიოდარონი 200მგ; ვარფარინი 2.5მგ; დიგოქსინი 0.25მგ; სპირონოლაქტონი 25მგ; ატორვასტატინი 10მგ; ატორვასტატინი 20მგ; ატორვასტატინი 40მგ; კლოპიდოგრელი 75მგ; კლოპიდოგრელი 75მგ; იზოსორბიდის მონონიტრატი 40მგ; ფუროსემიდი 40მგ; ამლოდიპინი 5მგ; აცეტილსალიცილის მჟავა+მაგნიუმის ჰიდროქსიდი 75მგ; აცეტილსალიცილის მჟავა+მაგნიუმის ჰიდროქსიდი 150მგ